ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 187

"9" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №85-ის მიმდებარედ არსებული 803 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.14.04.005.017) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ამხანაგობა „ვაჟა-ფშაველა IV – 2005"-ისთვის იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №21.11.620 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №85-ის მიმდებარედ არსებული 803 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.14.04.005.017) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ამხანაგობა „ვაჟა-ფშაველა IV – 2005"-ისთვის იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 1200 ლარით.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი